

**რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი (მეარმატურე, მეყალიბე, მებეტონე) 040659**

**პროფესიული სტნდარტი**

**I. სფეროს აღწერა:**

წარმოდგენილი პროფესიული სტანდარტის მიხედვით რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებელს შეუძლია მარტივი, საშუალო სირთულის და რთული ყალიბების მოწყობა სხვადასხვა მასალებისაგან, მზა ყალიბების აწყობა. მარტივი, საშუალო სირთულის და რთული არმატურის ნაკეთობების მომზადება და მონტაჟი, ბეტონის მიღება და ჩალაგება ყალიბებში, ბეტონის ნარევის გამკვრივება და შემდგომი მოვლა გამყარების პროცესში.

**II დასაქმების სფერო:**

კურსდამთავრებული შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ სამშენებლო ობიექტზე, რომლის მშენებლობას ახორციელებს “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე სამშენებლო კომპანია.

რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი (მეარმატურე, მეყალიბე, მებეტონე) შეიძლება დასაქმდეს:

- ა) მრავალპროფილიან საწარმოში;
- ბ) მონოპროფილიან საწარმოში;
- გ) როგორც თვითდასაქმებული.

**III. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია**

რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებლის (მეარმატურე, მეყალიბე, მებეტონე) განათლება არის ერთსაფეხურიანი და შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მესამე საფეხურის რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებლის (მეარმატურე, მეყალიბე, მებეტონე) პროფესიული პროგრამა მოიცავს მინიმუმ 30 კრედიტს. რომლის მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებლის (მეარმატურე, მეყალიბე, მებეტონე) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებლის (მეარმატურე, მეყალიბე, მებეტონე) სპეციალისტის კვალიფიკაციათა აღმწერი

რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებლის (მეარმატურე, მეყალიბე, მებეტონე) სპეციალისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. იცის შრომის და ეკოლოგიური უსაფრთხოება შენობების ნაწილები და სამშენებლო მასალები; შენობა-ნაგებობების აგების საფუძვლები; ინსტრუმენტები, მექანიზმები, მოწყობილობები; ყალიბების დამზადება და მოწყობა; ფოლადის არმატურის ჭრა, გასწორება, ღუნვა არმატურის ნაკეთობების დამზადება საობიექტო სტენდზე არმატურის ნაკეთობების (ბადეების, კარკასების) მონტაჟი, არმატურის აკრება უშუალოდ დაბეტონების ადგილზე; ბეტონის სამუშაოების შესრულება: ბეტონის ნარევის მიღება, ჩალაგება ყალიბებში, გამკვრივება, ბეტონის მოვლა, სამუშაოს შესრულება ზამთრის და ზაფხულის პირობებში. სამუშაოების შემოწმება, შეფასება ხარისხის და ოპერაციული კონტროლი. აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;</p>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები. შეუძლია სხვადასხვა სახის ყალიბების დამზადება; არმატურის ელემენტების დამზადება და მონტაჟი; არმატურის ელემენტების აკრეფა დაბეტონების ადგილზე; ბეტონის სამუშაოების წარმოება; ბეტონის სამუშაოთა წარმოება ექსტრემალურ პირობებში; შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი.</p>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება. შეუძლია მცირე მუშა რგოლის ხელმძღვანელობა.</p>

<b>სწავლის უნარი</b>	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.
<b>ღირებულებები</b>	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. იცავს შრომის უსაფრთხოების და საწარმოო ჰიგიენის წესებს. აქვს პასუხისმგებლობა შესასრულებელი სამუშაოსადმი, გააჩნია კოლეგიალურობა.

